

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თემატური ანალიზის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ცენტრი) თემატური ანალიზის განხორციელების წესი (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით თემატური ანალიზის განხორციელების მიზნებს, პრინციპებს, წინაპირობებსა და პროცედურებს, აგრეთვე, შედეგების გამოქვეყნებისა და გამოყენების საკითხებს.

მუხლი 2. თემატური ანალიზის განხორციელების მიზანი

თემატური ანალიზი წარმოადგენს ცენტრის მიერ განხორციელებული ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების უწყვეტი განვითარებისა და სრულყოფის, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესების მხარდაჭერის მექანიზმს. თემატური ანალიზი ასევე ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარებას ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 3. თემატური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია და პრინციპები

1. წესი ეფუძნება ცენტრის ევროკავშირთან დაძმობილების პროექტის (Twinning) ფარგლებში შემუშავებულ „წინადადებას თემატური ანალიზის განხორციელების პროცედურისა და მეთოდოლოგიის შესახებ.“
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული თემატური ანალიზი დამატებით ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG 2015) დოკუმენტით გათვალისწინებულ პრინციპებს.
3. თემატური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგია განისაზღვრება თემატური ანალიზის საკვლევ საკითხის მიხედვით.
4. თემატური ანალიზის ფარგლებში საკვლევ თემები იდენტიფიცირდება ცენტრის მომავალი
- 5 წლის საქმიანობის გეგმებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

მუხლი 4. თემატური ანალიზის სახეები

ცენტრი, ამ წესის შესაბამისად, ახორციელებს შემდეგი სახის თემატურ ანალიზებს:

- ა) ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების პერიოდული ანალიზი;
- ბ) კონკრეტული საჭიროებით განპირობებული თემატური ანალიზი.

მუხლი 5. ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების პერიოდული ანალიზის ჩატარების საფუძველი

ცენტრის მიერ ამ წესის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული თემატური ანალიზი ხორციელდება შეფასების ციკლის დასრულების ეტაპიდან:

- ა) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებულ თემაზე - ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსაზღვრულ პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წარმოებების დასრულების შემდეგ;
- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებულ თემაზე - ყოველწლიურად, ცალკეული სფეროს კლასტერის შეფასების წლის დასრულების შემდეგ.

მუხლი 6. კონკრეტული საჭიროებით განპირობებული თემატური ანალიზის ჩატარების საფუძველი

1. ცენტრის მიერ ამ წესის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული თემატური ანალიზი ხორციელდება ცენტრში გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებული კვლევის საგნის ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და სტრუქტურული ერთეულების, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ექსპერტთა კორპუსების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოსა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირების საფუძველზე.

2. ამ მუხლით განსაზღვრული თემატური ანალიზის განხორციელების საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ა) სხვადასხვა შეფასების ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევები;
- ბ) ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეების გამოკითხვა;
- გ) საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები;
- დ) საერთაშორისო ტენდენციები;
- ე) საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი;
- ვ) ცენტრის ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში განხილული საკითხები;
- ზ) სხვა გონივრული საფუძველი.

მუხლი 7. თემატური ანალიზის დაგეგმვა

1. თემატური ანალიზის განხორციელების ინიციატორი, შესაბამის სტრუქტურული ერთეულთან (თუ ინიციატორი თავად სტრუქტურული ერთეული არ არის) და ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებს თემატური ანალიზის კვლევის პროექტს, რომელიც თემატური ანალიზის განხორციელების ვადასთან და კვლევის ჯგუფის შემადგენლობასთან ერთად წარედგინება ცენტრის დირექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

2. თემატური ანალიზის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კვლევის ჯგუფი. კვლევის ჯგუფის წევრებად, კვლევის საგნის შესაბამისად, შეიძლება შერჩეულ იქნან ცენტრის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, ინიციატორი სამსახურისა და ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომლები. აგრეთვე, შეიძლება მოწვეულ იქნან ექსპერტები.

მუხლი 8. თემატური ანალიზის განხორციელება

1. კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კვლევის ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილებასა და ჯგუფის ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფაზე.

2. კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი შეიმუშავებს თემატური ანალიზის განრიგს და ათანხმებს კვლევის ჯგუფის წევრებთან.

3. მიზანშეწონილია კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა, კვლევის საგნიდან გამომდინარე, თემატური ანალიზის პროექტი წარუდგინოს კრიტიკულ მკითხველს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მიღებული უკუკავშირი შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს. კრიტიკული მკითხველი შეიძლება იყოს ცენტრის შიდა სტრუქტურული ერთეულების, ექსპერტთა კორპუსების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოს წარმომადგენელი ან გარე ექსპერტი.

4. კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი თემატური ანალიზის პირველად ვერსიას წარუდგენს ინიციატორი სამსახურის უფროსსა (იმ შემთხვევაში, თუ კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი თავად არ არის ინიციატორი) და კურატორ-მოადგილეს.

5. უკუკავშირის მიღების შემდეგ, კვლევის ჯგუფი ამზადებს თემატური ანალიზის საბოლოო დოკუმენტს.

6. დასრულებული თემატური ანალიზი წარედგინება ცენტრის დირექტორსა და ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს.

მუხლი 9. თემატური ანალიზის შედეგების გამოქვეყნება და დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარება

1. თემატური ანალიზის დოკუმენტი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქართულ ენაზე, ხოლო დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა და რეკომენდაციები - ინგლისურ ენაზე.

2. კვლევის საგნიდან გამომდინარე, ინიციატორი სამსახურის მიერ, თემატური ანალიზის დოკუმენტი ეგზავნება საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ექსპერტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს, სააპელაციო საბჭოების წევრებსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საკითხით დაინტერესებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

3. განხორციელებული თემატური ანალიზ(ებ)ის შედეგების წარდგენა ხდება ცენტრის ყოველწლიურ კონფერენციაზე.

მუხლი 10. თემატური ანალიზის შედეგების გამოყენება

1. თემატური ანალიზის შედეგებში ასახული გამოწვევების საპასუხოდ, ცენტრმა შეიძლება დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

2. თემატური ანალიზის შედეგები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ცვლილებების ინიცირებას გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და დარგობრივ მახასიათებლებში.

3. თემატური ანალიზის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, აგრეთვე სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში.